ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

ლია ჯიჯიეშვილი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

დინამიური ვებ გვერდის შექმნა და საძიებო სისტემა „Google“-თან ოპტიმიზაციის ამოცანები

ხელმძღვანელი:

ფიზიკა-მათემატიკის

მეცნიერებათა კანდიდატი ლ. კოკილაშვილი

თბილისი

2011

სარჩევი

შესავალი 2
დინამიური ვებ გვერდი 2
საძიებო სისტემები 3
Search Engine Optimization (SEO) 4
სტრუქტურის შემუშავება 8
ფუნქციონალი 11
დიზაინი 17
მონაცემთა ბაზის შექმნა 19
იმპლემენტაცია 26
Google-ს სხვა სერვისები 36

შესავალი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია დინამიური ვებ გვერდის შექმნის პროცესი. დეტალურად არის აღწერილი საძიებო სისტემა „Google“-თან ოპტიმიზაციის საკითხი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვებ გვერდის დაცვის მეთოდებს.

დინამიური ვებ გვერდი

ვებ გვერდი წარმოადგენს ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის განთავსების საშუალებას. მისი მფლობელი შეიძლება იყოს როგორც კომპანია ასევე ინდივიდუალური პიროვნება. შინაარსის მიხედვით ვებ გვერდი შესაძლოა იყოს სავიზიტო, კორპორატიული, გასართობი ან სპეციფიურ ბიზნეს პროცესებზე მორგებული.

ვებ გვერდის ერთ-ერთ გავრცელებულ და მასშტაბურ სახეს წარმოადგენს სოციალური ქსელი. სოციალური ქსელი არის მრავალმომხმარებლიანი ვებ გვერდი, სადაც ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი ანგარიში. პირადი ანგარიშის